



0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15<sup>ა</sup>  
15<sup>ა</sup>, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85  
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00  
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 04/07/29820  
01/12/2016

29820-04/07-2-201612011534



„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“-ს  
დირექტორს ბატონ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

სამინისტროში 2016 წლის 17 ნოემბერს შემოსული თქვენი №FOI11/16-001 განცხადების  
პასუხად, წარმოგიდგენთ შემდეგ ინფორმაციას:

1) გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, სულ  
დაკმაყოფილებულია 35 475 ოჯახი, მათ შორის საცხოვრებელი ფართი უკვე საკუთრებაში აქვს  
გადაცემული (დაუკანონდა) 24 475 ოჯახს, ხოლო საცხოვრებელი თანხის სანაცვლოდ  
საკომპენსაციო თანხით უზრუნველყოფილია 5 383 ოჯახი.

2) ინფორმაცია დევნილი ოჯახების რაოდენობის შესახებ, რომლებმაც საცხოვრებელი  
ფართი მიიღეს ახალაშენებულ ან რეაბილიტირებულ შენობებში, იხ. #1 დანართში.

აქვე გაცნობებთ, რომ შენობების მშენებლობასა და რეაბილიტაციას ძირითადად  
ახორციელებდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მფფ). #2 დანართით  
გიგზავნით სამინისტროს ხელთ არსებულ ინფორმაციას მფფ-ისა და სამინისტროს მიერ  
გაწეული დანახარჯების შესახებ.

აქვე დავამატებთ, რომ სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას სხვა დონორი და კერძო  
კომპანიების მიერ დევნილთა საცხოვრებელი ფართების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე  
გაწეული ხარჯების შესახებ.

3) ინფორმაცია შესყიდული ინდივიდუალური სახლებისა და ბინების შესახებ იხ. #3  
დანართში.

4) ინფორმაცია გამოსყიდული ობიექტების შესახებ იხ. #4 დანართში.

გარდა ამისა, სამინისტრომ იპოთეკური სესხი დაუფარა 92 დევნილ ოჯახს, 1 738 396.00  
ლარის ოდენობით.


5) დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი ფართის მიღების თაობაზე შევსებულია  
28 901

განაცხადი, კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის თაობაზე შევსებულია 7 999 განაცხადი, ხოლო იპოთეკური სესხის დაფარვის თაობაზე შევსებულია 531 განაცხადი.

6) მიახლოებითი გათვლებით, გრძელვადიანი საცხოვრებლით იმ დევნილი ოჯახების უზრუნველსაყოფად, რომელთაც არ მიუღიათ სახელმწიფოსგან შესაბამისი დახმარება, საჭიროა 1,5 მლრდ ლარი.

პატივისცემით,

გოგუცა გურული



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი